

# ინოვაციური ზრდის პერსპექტივები საქართველოში



**გიორგი რუსიაშვილი**  
ეკონომიკის აკადემიური  
ლოქტორი, პროფესორი

ამერიკელი მეცნიერის პოლ კრუგმანის მიხედვით, პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში ბიზნესზე საგადასახადო წნეხი არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი შიდა პროდუქტის 14%-ს. სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოში საგადასახადო წნეხი 21%-ს შეადგენს.

აქედან გამომდინარე, სავსებით ბუნებრივია, შემდგომი საგადასახადო ლიბერალიზაციის მოთხოვნა, რასაც პოლიტიკური რეალიებიც უწყობს ხელს - ახალი ხელისუფლების მეცადინეობით, წარსულში სახელმწიფოსგან ფართო მასშტაბიანად დატერორებულ ბიზნესს განვითარების მეტი შანსი მიეცა.

თუმცა, ჩვენი აზრით, ბოლო დროს, სამეცნიერო წრეებში ფართოდ დისკუსირებულ საგადასახადო ლიბერალიზაციის მიდგომას ანგარიშგასაწევი ობიექტური შეზღუდვებიც გააჩნია. მათ შორის, მნიშვნელოვანია:

1. მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური ფონი, რის გამოც კვლავაც უპირველეს მიზნად რჩება გადასახადების (მაღალი განაკვეთების შენარჩუნების) ხარჯზე სახელმწიფო ბიუჯეტში სახსრების მაქსიმალური მობილიზაცია სოციალური ვალდებულებების (პენსიების, დახმარებების, ჯანდაცვის პროგრამების) უზრუნველსაყოფად;

2. ეკონომიკის ზრდა და ჯინი ინდექსის მიხედვით მოსახლეობის შემოსავლების გამოთანაბრების დონე ქვეყანაში<sup>1</sup>. ეკონომიკის ზრდა მიღწევადია საგადასახადო ლიბერალიზაციის გზით, მაგრამ მოსახლეობის შემოსავლების გამოთანაბრების დონე მხოლოდ საგადასახადო ლიბერალიზაციით ვერ ამალღდება, თუნდაც იმის გამო, რომ ა) საფონდო ბირჟების განვითარებლობის, ბ) ექსპორტთან იმპორტის უპირატესობის, შეზღუდული მასშტაბების ადგილობრივი მოხმარების მქონე

\* რაც სრულ შესაბამისობაშია რანის (გაუმჯობესებულ ლაფერის) თეორიულ პარამეტრებთან, მაინც არამართლზომიერად მიგვაჩნია გარდამავალი ტიპის ეკონომიკისათვის სახელმწიფო სექტორის თანდაყოლილი არაეფექტიანობის და შესაბამისად კაპიტალისტური წესით წარმოებული ბიზნესის დაზოგვით ხასიათთან წინააღმდეგობაში მყოფი: „დახარჯვის კულტის“ არსებობის გამო.

1 განვითარებული ქვეყნების ტოპ 10-ული შემოსავლების გამოთანაბრების კუთხით, რომელთაც ამავე დროს უჭირავთ ქვეყნებში პირველი ათეული ერთ სულ მოსახლეზე ნომინალური შემოსავლის მიხედვით, ასე გამოიყურება: შვედეთი, ნორვეგია, დანია, ფინეთი, ისლანდია, ავსტრია, საფრანგეთი, ლუქსემბურგი, ლიხტენშტეინი, შვეიცარია. შესაბამისად კორელაცია საერთო შემოსავლების ზრდასა და მათ მოსახლეობის სხვადასხვა ფენების მიხედვით გამოთანაბრებას შორის აშკარაა და კანონზომიერი.

ეკონომიკის ისეთ ქვეყანაში, როგორც საქართველოა, მეწარმეები არ არიან მოტივირებულნი მაღალი მოგებით (რითაც იქმნება დოვლათი, სამუშაო ადგილები, დამატებითი შემოსავლები) და გარკვეულწილად, ადგილი აქვს ეკონომიკურ სტაგნაციას, რადგან ნებისმიერი ახალი ინვესტიცია/რეინვესტიცია რისკია კაპიტალის მფლობელისთვის განუსაზღვრელობის პირობებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფოსგან ეკონომიკაში დაბრუნებული ნებისმიერი ლარი მეწარმის დამატებით შემოსავლის წყაროა, რაც სხვა თანაბარ პირობებში, საბოლოო ჯამში, მართალია, აისახება მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკაში მოგების სახით, მაგრამ ამით ადექვატურ სარგებელს ვერ მიიღებს ჩვეულებრივი მოქალაქე, რომლის კეთილდღეობასაც ყველაზე უპრიანად სწორედ ჯინი ინდექსის დონე და არა მშპ-ის ზრდის დინამიკა განსაზღვრავს.

ცნობილია, რომ კლასიკური ეკონომიკური მიდგომით, მეწარმეზე მოგების გადასახადის დამატებითი წნეხი და მეწარმის ექსტრემალურ, არასახარბიელო საგადასახადო მდგომარეობაში ჩაყენება ყოველთვის ხელს უწყობს ინოვაციურ განვითარებას და საზოგადოებრივ პროგრესს, რადგანაც ისეთი მდგომარეობაში, მეწარმეს უჩნდება ინტერესი უფრო მეტი დაზოგვის („გამოიგონოს ახალი“, შეამციროს დანახარჯები) შემცირებული მოგების ნორმის კომპენსირების მიზნით.

შესაბამისად, ჯინი ინდექსის დონის ასამაღლებლად, აუცილებელია არა საგადასახადო წნეხის შესუსტება, არამედ მისი გარკვეული დოზით გაძლიერება, რათა სახელმწიფომ ბიზნესიდან ამოიღოს რაც შეიძლება მეტი თანხა ხელმეორე გადანაწილებისათვის, მაგრამ ამავედროულად მაქსიმალურად უნდა წახალისდეს ბიზნესი, რომ მან შექმნას ინოვაცია.

კლასიკური ეკონომიკური რეკომენდაციების თანახმად, თუ ქვეყანაში არაინფლაციური ეკონომიკური ზრდის ტემპი არ აღემატება 4%-ს წლიურად, მაშინ

ცხრილი 1. K-ს სიდიდეს და კომპანიებს შორის კორელაცია  $K = 10000 (V^2 + 1) / N$

K – ს სიდიდე	კომპანიების მაქსიმალური რაოდენობა (N)	ბაზრის მაქსიმალური წილი (%)			
		1	2	3	4
		კომპანიისთვის	კომპანიისთვის	კომპანიისთვის	კომპანიისთვის
		უმსხვილესი კომპანიები			
1000	10	<u>31</u>	44	54	63
1800	6	42	60	72	85
3000	4	54	75	95	100
5000	2	70	100	100	100
10000(*)	1	100	100	100	100

შენიშვნა\*: როდესაც K უდრის 10 000, მაშინ ბაზარზე იმყოფება მხოლოდ 1 მონოპოლისტი.

ქვეყანამ უნდა მიმართოს ეკონომიკის მკვეთრ და რადიკალურ ინოვაციურ განვითარებას, თუ არა - მისი ჩამორჩენა მოწინავე ქვეყნებისგან უფრო და უფრო გაღრმავდება და ტექნოლოგიური თვალსაზრისით მათი (განვითარებული ქვეყნების) დაწვევის შესაძლებლობა სრულად უპერსპექტივო აღმოჩნდება ახლო პროგნოზირებად მომავალში.

**როგორ შეიძლება განიმარტოს ინოვაციური განვითარება?** - ეს, რა თქმა უნდა, არის ინტენსიური, ანუ უფრო მწარმოებლური, პროდუქტიული და ეფექტიანი განვითარება, როდესაც ერთი და იგივე რესურსის ჩადებისას ეკონომიკაში უფრო მეტი სარგებელი, შედეგი მიიღება, რაც საბოლოო ჯამში საზოგადოებას ტექნიკურ პროგრესს გვაძლევს.

ზოგადად მიჩნეულია, რომ ეროვნული სახელმწიფოები ზრუნავენ რა საკუთარი სახელმწიფოების წარმატებასა და წინსვლაზე, ხელს უწყობენ ინოვაციის განვითარებას, რაც, ვფიქრობთ, მისაღებია საქართველოსთვისაც. ამ პროცესის უზრუნველსაყოფად აუცილებელია:

1) **ინტელექტუალური საკუთრების უფლებების (IPR) მკაცრი საკანონმდებლო დაცვა**<sup>2</sup> ევროკავშირის რეგულაციების და დირექტივების შესაბამისად, რათა

1 შედარებისათვის 90-იან წლების ბოლოს და 21 საუკუნის დასაწყისში ეკონომიკურ წრეებში მუსირებდა აზრი, რომ დასავლეთის განვითარებული ქვეყნების დაწვევა პოსტ-საბჭოთა ქვეყნებს ეკონომიკურ-ტექნოლოგიური თვალსაზრისით 50 წლიან დიაპაზონში თუ შეეძლებათ და ისიც აქტიური განვითარების ტემპების შენარჩუნების პირობებში.

2 აღსანიშნავია, რომ ეროვნულ საპატენტო სამსახურს დააწვევა დიდი პასუხისმგებლობა, რადგან მოუწევს ინოვაციების დაპატენტება და შემდეგ მათი ავთენტურობის დაცვა წამყვან საპატენტო ორგანიზაციებთან და ცნობისათვის ქვეყნის ეკონომიკის ინტელექტუალური პოტენციალის საზომად გამოიყენება წლის განმავლობაში აშშ-ის საპატენტო ბიუროში დარეგისტრირებული ეროვნული პატენტების რაოდენობა.

მეწარმეებს (ფირმებს) გაუჩნდეთ მოტივაცია, შექმნან ინოვაციური პროდუქტი, რაც ამავდროულად უზიარებს დინამიურ კონკურენციას ეკონომიკაში, ანუ კონკურენციას არა ბაზარზე არსებულ ყველა სუბიექტს შორის, ვინც ამის სურვილი აქვს, არამედ მათ შორის, ვინც ქმნის ინოვაციურ პროდუქტს და აქვს შესაბამისი ტექნოლოგიური, საკადრო, სამეცნიერო-კვლევითი (Research & Development) რესურსული უზრუნველყოფა. ეს, ამავდროულად, ოპტიმალურ დონემდე შეამცირებს „კონკურენცია-ინტელექტუალურ საკუთრების უფლებების დაცვას“ შორის ჩამოყალიბებულ დიალექტიკური წინააღმდეგობიდან წარმოდგარ საზოგადოებრივ ხარჯს;

2) **ანტიმონოპოლიური რეგულირება**, რომელიც გულისხმობს საზოგადოებრივი დანახარჯის შესამცირებლად, მონო/ოლიგოპოლისტი ფირმების, კომპანიების მიერ გადასახადის გადახდას ბაზრის წილის თითოეულ ზენორმატიულ პროცენტზე (იმ შემთხვევაში, თუ ისინი ფლობენ ბაზრის 25%-ზე მეტს), (პარპინდელ-პარპინის ცნობილი თეორიული ინდექსის და ასევე ევროკავშირის პრაქტიკული რეკომენდაციების საფუძველზე. ცხრილი 1);

3) **ეროვნული ეკონომიკისთვის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებთან** (ბასს სტანდარტი 38) მკაფიო შესაბამისობაში კვლევის და განვითარების კრიტერიუმების დადგენა. (ცხრილი2);

4. **დადგენილი კრიტერიუმების თანახმად, ფირმებზე მხოლოდ „განვითარების“ ხარჯების კომპენსირება** (მაგალითად 70% / 30% თანაფარდობით, ანუ განვითარების ხარჯის 70% ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ საბიუჯეტო დოტაციის ხარჯზე, ხოლო ხარჯის 30% შესაბამისად წარმოადგენს კომპანიის სუფთა დანახარჯს, რომელიც ამავე დროს საგადასახადო მიზნებისთვის ჩამოიწერება/გამოიქვითება მოგება-ზარალში). ამასთან „კვლევის“ ხარჯი, რომელიც ამავდროულად გამოსაკვითი ხარჯია, არ უნდა ექვემდებარებოდეს ანაზღაურებას სახელმწიფოს მხრიდან, რადგან წარმოადგენს



ფირმის ე.წ. „ინოვაციურ საქმიანობის რისკს“ წინასწარ გაწეული ხარჯის სახით. რა თქმა უნდა, ეროვნულ მეურნეობაში წარმოებული კვლევის ყველა სხვა ხარჯი მოგვცემს ტექნოლოგიური ციკლის „განვითარების“ ეტაპს და ზოგადად, დაუშვებელიცაა სახელმწიფოს მონაწილეობა ამ ეტაპზე<sup>1</sup>.

როგორც ცხრილიდან ჩანს, 1 კომპანიისთვის ბაზრის მაქსიმალური წილის ზომა უნდა შეადგენდეს არა უმეტეს 31%-ს (როდესაც ბაზარზე 3-ზე ნაკლები ფირმა არაა), რაც თეორიული პოსტულატია, მაგრამ ახლოსაა ევროკავშირის პრაქტიკულ რეგულაციებთან, რომელიც განსაზღვრულია 25% ოდენობით (როდესაც ბაზარზე 4-ზე მეტი ფირმაა).

საქართველოში, თვალი რომ გადავავლოთ ეროვნულ ბაზარს, ვნახავთ, რომ ბევრია ისეთი სემგენტი, სადაც მხოლოდ 2 ან 3, ან უკეთეს შემთხვევაში, 4 კომპანიაა და არასაჭირო - 4-ზე მეტი, რაც თავისთავად აფერხებს ქვეყნის განვითარებას კონკურენციული გარემოს ზრდის შეფერხების გამო<sup>2</sup>, მაგ.: ნავთობის სფერო: (ლუკოილი, სოკარი, გალფი, ვისოლი), მობილური კომუნიკაცია (ბილანი, ჯეოსელი, მაგთი), ინტერნეტ კომუნიკაცია (სილქნეტი, კავკაზუსი), ლუდი (ნატახტარი, მთიელი, ყაზბეგი, კასტელი), ძებვეული (ნიკორა, ვაკე, ლოიდლი, მითანა), ხორცის წარმოება

<sup>1</sup> აღნიშნული მიდგომის ძირითად განმახორციელებელ დარგებს უნდა მიეკუთვნებოდნენ მწარმოებელი და არა ვაჭრობის დარგები: მძიმე და მსუბუქი მრეწველობა, კვების მრეწველობა, ენერგეტიკა, კავშირგაბმულობა, სოფლის მეურნეობა, სამთო-მომპოვებელი მრეწველობა, ტურიზმი, ტრანსპორტი და სხვ.

<sup>2</sup> აღსანიშნავია, საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბატონ ირაკლი ღარიბაშვილის მიერ ბოლო დროს ამ კუთხით გაკეთებული საჯარო განცხადებები, რომ „ქვეყანაში კონკურენცია უნდა იყოს და გაძლიერდეს“, რაც წინა ხელისუფლების პირობებში გარკვეული პოლიტიკური - ეკონომიკური ინტერესების გადაკვეთის და შესაბამისი კაპიტალის დაგროვების ფონზე ალბათ არ იქცეოდა შესაბამის და სათანადო ყურადღებას სახელმწიფოს მხრიდან.

(იბერულა), შოკოლადის წარმოება (ბარამბო), რძის პროდუქტების წარმოება (სანტე, სანტინო, ეკოფუდი), კვერცხის და ქათმის წარმოება (მუხრანი, კოდა, დილა, ნოზამე), ლიმონათის წარმოება (ნატახტარი, ყაზბეგი, ზანდუკელი) და სხვები.

ცხრილი 2: „განვითარების“ ხარჯების კომპენსირების მიზნით კრიტერიუმის განსაზღვრა, რაც უნდა გულისხმობდეს ქვემოთ მოცემული ყველა ინდიკატორის შესრულების ზედმიწევნით დაცვას, რადგან ერთ-ერთის არ არსებობა იწვევს მის მთლიანად გაუქმებას:

- მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება არამატერიალური აქტივიდან;
  - არამატერიალური აქტივის ღირებულება შეიძლება საიმედოდ შეფასდეს;
  - შესაძლებელია არამატერიალური აქტივის დამუშავების დასრულება ტექნიკური თვალსაზრისით (და შესაბამისად, იგი გახდება ხელმისაწვდომი გასაყიდად ან გამოსაყენებლად);
  - არსებობს ამის (ანუ დასრულების და შესაბამისად შემდგომი გაყიდვის ან გამოყენების) როგორც მზადყოფნა/სურვილი, ისე შესაძლებლობა/უნარი;
  - არსებობს ან ფართო ბაზარი, ან თუ არამატერიალური აქტივი შიდა გამოყენებისათვისაა განკუთვნილი - სარგებლიანობა (დადგენილი მარგი ქმედება);
  - შესაბამისი ადექვატური ტექნიკური, ფინანსური და სხვა რესურსების გამოყენების ხელმისაწვდომობა არამატერიალური აქტივის დასრულებისათვის.
- აღნიშნული ინდიკატორები უნდა ხასიათდებოდნენ შემდეგი თვისებებით: უნდა იყვნენ მკაფიოდ რაოდენობრივად განსაზღვრული, ობიექტურად მიღწევადი, მათ შორის, მხოლოდ სუბიექტის დამოუკიდებელი ძალისხმევით, უნდა წარმოადგენდნენ მიზანს და არა საშუალებას და ასევე არ უნდა ხდებოდეს კრიტერიუმის დუბლირება.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მიდგომის განხორციელება ქვეყნის საგანმანათლებლო სფეროს ფართომასშტაბიანი და რადიკალური მოდერნიზაცია-რეფორმირების გარეშე აზრს მოკლებულია, რადგან ცოდნაზე დაფუძნებული ეროვნული ეკონომიკის ფირმებს დასჭირდებათ კვალიფიციური ადგილობრივი საინჟინრო და ტექნოლოგიური კადრები. კერძოდ, ამ მიზნით სასწავლო აკადემიური თავისუფლების პარადიგმის შემოღება უნდა გულისხმობდეს შემდეგი ღონისძიებების გატარებას ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო ინსტიტუტებისთვის:

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დონეზე თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის (კურსის) დამტკიცებული კურიკულუმის ფარგლებში განათლების სამინისტროს მიერ თითოეული საგნის (დისციპლინის) სილაბუსის შესაბამისად (რომელიც ამავე დროს იდენტური იქნება ყველა პროფესორ-მასწავლებლისთვის და უმაღლესი სასწავლებლებისთვის) უნდა შედგეს ფინალური გამოცდის მომზადების დამოუკიდებელი „ბანკი/ბაზა“ (წარსულში „სახელმწი-

ფო გამოცდის“ მსგავსად და ამჟამად საქართველოში აპრობირებული ბრიტანული ეი-სი-სი-ეის წიგნების გამოცდის ჩაბარების ანალოგიურად);

- შესაბამისად, პროფესორ-მასწავლებლებს შორის კონკურენცია წარიმართება უკვე არა სუბიექტური თვალსაზრისით, არამედ, იმ კუთხით, თუ რომელი პროფესორ-მასწავლებელი უფრო უკეთესად და ეფექტიანად მოამზადებს სტუდენტებს უმაღლესი შეფასების მისაღებად დამოუკიდებელი ავტონომიური გამოცდების ჩაბარების საფუძველზე;

- აქედან გამომდინარე, თავისუფალ კონკურენციაში მყოფი პროფესორ-მასწავლებლები კი აღარ შეაფასებენ გამოცდის შედეგებს, არამედ სრულებით განზე გადგებიან სწავლის პროცესში შეფასების ეტაპისგან, რომელიც ავტომატურად შეფასდება დამოუკიდებელი სპეციალისტებისა და კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით, ხოლო, ისინი კი მთლიან-

ად კონცენტრირებული იქნებიან სტუდენტებისთვის საგნის საუკეთესო წესით მიწოდებაზე.

უნდა ითქვას, რომ საერთაშორისო კვლევებისა და დასკვნების მიხედვით, პოსტ - საბჭოთა ქვეყნებში, ახლო მომავალში შეუძლებელი იქნება მსოფლიო მასშტაბის სამაგისტრო პროგრამების განვითარება. ამდენად, მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო ზრუნვის საგანს ამ თვალსაზრისით მაქსიმალურად საბაკალავრო დონის საგანმანათლებლო საფეხური უნდა წარმოადგენდეს.

შესაბამისად უნდა ხდებოდეს წარმატებული სტუდენტების მსოფლიოში ფართოდ აპრობირებული მეთოდებით წახალისება და სტიმულირება, მაგ.: მაღალი სტიპენდიების და შეღავათების დანიშვნა, საზღვარგარეთის წამყვან უნივერსიტეტებში ინტერნშიპი-მივლინებები, ეროვნული ბიზნესის მოწინავე კომპანიებში სტაჟირება, დასაქმების ყოველგვარი ხელისშეწყობა, და სხვ.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

- |   |   |
|---|---|
| 1. <a href="http://www.accaglobal.com">www.accaglobal.com</a> | 6. <a href="http://www.parliament.ge">www.parliament.ge</a> |
| 2. <a href="http://www.geostat.ge">www.geostat.ge</a>         | 7. <a href="http://www.government.ge">www.government.ge</a> |
| 3. <a href="http://www.giniindex.org">www.giniindex.org</a>   | 8. <a href="http://www.krugmann.org">www.krugmann.org</a>   |
| 4. <a href="http://www.mof.ge">www.mof.ge</a>                 | 9. <a href="http://www.iprp.org">www.iprp.org</a>           |
| 5. <a href="http://www.nbg.gov.ge">www.nbg.gov.ge</a>         | 10. <a href="http://www.eu.org">www.eu.org</a>              |

**LIMITATIONS OF TAX LIBERALIZATION APPROACH DURING COUNTRY’S MODERN STAGE OF SOCIAL-ECONOMIC DEVELOPMENT AND PERSPECTIVES OF INNOVATION GROWTH IN GEORGIA**

**Giorgi Rusiashvili**

Academic Doctor of Economics, Professor

**ABSTRACT**

*According to notable American scientist Paul Krugman in post-soviet states the business tax burden shall be in the range of 14% of GDP. Nowadays in Georgia as per statistical data tax burden’s level is about 21% which is still in compliance to Rahn curve. Therefore its demanded further tax liberalization which is also supported by new political reality after government change and businesses freed from state control and “patronage”.*

Although the tax liberalization issue is actively discussed recently in Georgian scientific circles, it still has several limitations, including heavy social-economic household living conditions and income distribution equality low level according to Gini index, for which strong fiscal system mechanisms may be used. Income distribution equality level is one of the attributes of “good” country governance prevailing by social responsibility as identified by OECD and World Bank.

This paper examines limitations of tax liberalization approach during country’s modern stage of social-economic development. These results were then compared to data of national states in developed market economies to determine whether there was a significant difference. This study also examines perspectives of innovation growth in Georgia. However the indicated approach may be implemented only based on large scale modernization of Georgian education system since agents (firms) of knowledge based economy will increase demand on high qualified technological and R&D staff.